საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 12

ქ.თბილისი 22.12.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი; სხდომის მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე - კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
ზურაბ აბაშიძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ XXI საუკუნის დირექტორი;
ანა ჭიღიტაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ XXI საუკუნის იურისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
რამაზ ქურდაძე;
ნინო ელბაქიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:20 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თვმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალა ელიზბარ ელიზბარაშვილს.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლევან მადათოვმა სთხოვა საბჭოს წევრებს რომ საკითხის განხილვის შემდეგ მოესმინათ ცენტრის პოზიცია აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით და გაეკეთებინათ შესაბამისი განმარტება.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნის“ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის ხელმძღვანელმა რამაზ ქურდაძემ. ექსპერტის თქმით, აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2015 წლის 7 და 8 დეკემბერს. აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე მათ მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა გარემოება, მატერიალური და ადამიანური რესურსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შეთავაზებული რეკომენდაციებიდან უმრავლესობა დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს და ადგილზე გასწორდა, კერძოდ ვიზიტის პერიოდში დაზუსტდა შემდეგი საკითხები:

• შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნის“ ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე და მეხუთე პუნქტი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამის მიზანი.

• აღნიშნულის შესაბამისად დაზუსტდა აგრეთვე: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

• რეკომენდაციები გაითვალისწინეს ასევე სილაბუსების შინაარსობრივ მხარეშიც და წარმოადგინეს ჩასწორებული სილაბუსები.

რამაზ ქურდაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ახლდა ექსპერტთა დასკვნას დანართის სახით. რამაზ ქურდაძემ საბჭოს გააცნო ის რეკომენდაციები რომლის გათვალისწინებაც დაწესებულების მხრიდან ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა:

- პირველი რეკომენდაცია ეხებოდა „ორთოგრაფიის“ საგნის სილაბუსს, სადაც სასურველი იყო დაზუსტებულიყო საგნის სახელწოდება, რადგან აღნიშნულ სილაბუსში ქართული ორთოგრაფიის გარდა წარმოდგენილი იყო სტილისტიკისა და ფრაზეოლოგიის საკითხები, სასურველი იყო, კურსის სახელწოდება ჩამოყალიბებულიყო, როგორც „ორთოგრაფიისა და სტილისტიკის საკითხები“.

- მეორე რეკომენდაცია გულისხმობდა, ყოველკვირეული სალექციო კურსის თემებს მითითებოდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ექსპერტთა თქმით, ვიზიტის დროს სილაბუსების ნაწილში აღნიშნული გასწორდა, თუმცა აუცილებელი იყო ასეთივე ჩასწორება მომხდარიყო ყველა სილაბუსში. ამასთანავე, მიზანშეწონილი იყო სილაბუსების ყოველკვირეულ დატვირთვაში სავალდებულო ლიტერატურას მითითებოდა გვერდები, რადგან კონტიგენტი არაქართველი მოსწავლეებისგან შედგებოდა და მათ სჭირდებოდათ ხელშეწყობა და სწავლის პროცესის გაადვილება.

- ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო პროცესი უკეთესად წარიმართებოდა, თუ ჩაერთვებოდა მეორე ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდები - კონტრასტული ანალიზისა და გადაცდომათა ანალიზის მეთოდები. აღნიშნული მეთოდები არაქართველი მოსწავლეების მიერ ქართული ენის შესწავლის დროს მშობლიური ენის ტრანსფერის გათვალისწინებაზე იყო დაფუძნებული.

დაწესებულების წამომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს აღნიშნული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გასწორდა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარმოუდგინა „ორთოგრაფიისა და სტილისტიკის საკითხების" სილაბუსი რეკომენდაციის მიხედვით გასწორებული. ასევე, ყოველკვირეული სალექციო კურსის თემებს მიეთითა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და სავალდებულო ლიტერატურის გვერდები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სილაბუსის „ქართული ენა, საუბარი, მოსმენა, კითხვა, წერა" ჯერ კიდევ მუშავდებოდა და უახლოეს მომავალში ლიტერატურის გვერდების მითითებით უკვე დამუშავებულ სილაბუსს მიაწვდიდნენ ცენტრს.

საბჭოს თავმჯდომარის, მაგდა მაღრაძის განცხადებით საბჭო ვერ მიიღებდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს. იგი ასევე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის დამატება და რა სამომავლო გეგმები ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მათ გათვლა ჰქოდათ უცხოელ და არაქართულენოვან სტუდენტებზე.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა ენის სწავლის პარალელურად ეუფლებოდა თუ არა სტუდენტი სპეციალობას. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ 60 კრედიტიანი ქართული ენაში მომზადების პროგრამის გავლის შემდგომ შეეძლო სტუდენტს ესწავლა პროფესია.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, აუცილებელი იყო თუ არა 60 კრედიტი ერთ წელში აეთვისებინა სტუდენტს თუ შეეძლო ორ წელში დაეგროვებინა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით 60 კრედიტის ათვისება იყო აუცილებელი, რომ შემდეგ პროფესიას დაუფლებოდა პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს წევრის ნათელა სახოკიას თქმით, ქართული ენის მასწავლებელი და ქართული ენის როგორც მეორე ენის მასწავლებელი სხვადასხვა რამ იყო, ყოველთვის იყო ამ მიმართულებით სათანადო კადრების მოძიების პრობლემა. საბჭოს წევრი დაინტერესდა ამ შემთხვევაში რა ვითარება იყო.

ექსპერტის თქმით ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგები ჯერჯერობით დიდ დეფიციტს წარმოადგენდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნის“ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან ფორმალური შეუსაბამობების შესახებ

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი და სწავლის შედეგების შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან, შედეგად, მათ შორის, გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმალური შეუსაბამობები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებებთან. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. მისანიჭებელი კვალიფიკაციების სახელწოდება განსაზღვრული იყო „ებიან" მრავლობით რიცხვში, ხოლო აკრედიტებულ პროგრამაში კვალიფიკაცია განსაზღვრული იყო „ნართანიან" მრავლობითში, ან პირიქით.

გამოიკვეთა 3 მიმართულებით ფორმალური შეუსაბამობა, კერძოდ:

აკრედიტებული პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კვალიფიკაცია
სოციალურ მეცნიერებათა	სოციალური მეცნიერებების
საზღვაოსნო მეცნიერებათა	საზღვაოსნო მეცნიერებების
ჰუმანიტარული მეცნიერებების	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ 40 საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ზემოაღნიშნული ფორმალური შეუსაბამობა, რომელიც პრობლემას უქმნიდა საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტებს ცენტრის ნამდვილობის დადასტურების სერვისების მიღებისას. ცენტრისათვის მნიშვნელოვანი იყო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა, შესაბამისად, ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ აღნიშნული ფორმალური ხასიათის შეუსაბამობების შესახებ ემსჯელა აკრედიტაციის საბჭოს.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრი შუამდგომლობით მიმართავდა საბჭოს, გაითვალისწინებინა სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და უკვე გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტისათვის, კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის დადგენის დროს არ ყოფილიყო დარღვევად მიჩნეული ზემოაღნიშნული ფორმალური შეუსაბამობა.

კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსის, ნინო ბერელიძის განმარტებით, თავის დროზე განისაზღვრა მისანიჭებელი კვალიფიკაციების სახელწოდებები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, რომელიც წარმოადგენდა ნორმატიულ დოკუმენტს, შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება უნდა მომხდარიყო ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მითითებული კვალიფიკაციის იდენტურად, რადგან, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა წმინდა სახის ფორმალურ შეუსაბამობას, ზემოაღნიშნული არ წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს დამსწრე წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაცია: იმ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებშიც მრავლობით რიცხვში არასწორი ფორმულირებით იყო მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაციები, ვინაიდან, აღნიშნულ შეუსაბამობას ჰქონდა ფორმალური ხასიათი და

აკრედიტაციის დროს საბჭოს მიერ არ ყოფილა ხარვეზად მიჩნეული, დაწესებულებებს მიეცეთ უფლება, რომ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განმეორებით აკრედიტაციამდე მიანიჭონ კვალიფიკაციები იმ ფორმით, რა ფორმითაც მიიღეს მათ აკრედიტაცია და ეს არ უნდა გამხდარიყო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, რომ სხდომის ოქმს დართვოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი რომელშიც გამოიკვეთა ფორმალური შეუსაბამობები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
ელიზბარ ელიზბარაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს **2015** წლის **22** დეკემბრის **№12** სხდომის ოქმის დანართი

№	უსდ	უსდ პროგრამა	უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია აკრედიტებული პროგრამის მიხედვით	№	გადაწყვეტილების მიღების თარიღი
1	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	10	09/09/2011
2	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი , სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი: პოლიტიკის მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში, ევროპისმცოდნეობაში, სოციოლოგიაში	85	30/09/2011
3	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერებები	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი , სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი: პოლიტიკის მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში, ევროპისმცოდნეობაში, სოციოლოგიაში	118	17/10/2011
4	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გენდერის კვლევა	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	288	11/11/2011
5	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	264	11/11/2011
6	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი, საერთაშორისო პროგრამა)	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	297	11/11/2011

7	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპისმცოდნეობა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ევროპისმცოდნეობაში	367	25/11/2011
8	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში	369	25/11/2011
9	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღვაო ნავიგაცია	ბაკალავრიატი	საზღვაოსნო მეცნიერებათა (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრი	374	02/12/2011
10	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	გემის მექანიკა	ბაკალავრიატი	საზღვაოსნო მეცნიერებათა (გემის მექანიკა) ბაკალავრი	375	02/12/2011
11	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	გემის ელექტრომექანიკა	ბაკალავრიატი	საზღვაოსნო მეცნიერებათა (გემის ელექტრომექანიკა) ბაკალავრი	376	02/12/2011
12	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში	433	09/12/2011
13	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში	12	01/02/2012
14	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	61	06/04/2012
15	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში	79	19/04/2012

16	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონფლიქტების ანალიზი და მართვა	დოქტორანტურა	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	273	26/07/2012
17	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მასკომუნიკაცია და ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	387	13/09/2012
18	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალური მეცნიერებები	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	713	27/11/2012
19	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალური მეცნიერებები	დოქტორანტურა	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	752	11/12/2012
20	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	სტრატეგიული კომუნიკაცია	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში	764	11/12/2012
21	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერებები	დოქტორანტურა	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	792	13/12/2012
22	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	799	13/12/2012
23	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	810	13/12/2012

24	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	დოქტორანტურა	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - (მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი ეკონომიკის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი, ფილოლოგიის დოქტორი, ისტორიის დოქტორი)	62	02/05/2013
25	შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში	158	05/11/2013
26	შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	მასობრივი კომუნიკაცია	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში	159	05/11/2013
27	შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ ფსიქოლოგიაში	157	05/11/2013
28	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერებები	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებებში	69	01/04/2014
29	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალიტიკაში	71	01/04/2014
30	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	საზოგადოებასთან ურთიერთობა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	72	01/04/2014
31	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში	104	13/05/2014
32	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ეკონომიკა	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ეკონომიკაში	138	01/07/2014

33	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციაში	161	21/07/2014
34	შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი	ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში	175	25/07/2014
35	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი დემოგრაფიაში	184	29/09/2014
36	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	185	29/09/2014
37	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	187	29/09/2014
38	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	186	29/09/2014
39	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	289	24/12/2014
40	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გენდერის კვლევის ინგლისურენოვანი სამაგისტრო	მაგისტრატურა	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	13	03/02/2015